საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2590 2016 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

კაპიტალური პროექტებისათვის დაგეგმილი გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ (პროგრამული კოდი: 35 04) პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან 2 938 150 ლარი მიმართოს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი: 35 03 01) პროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებაში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი